ნარცისიზმი და აღზრდის მახასიათებლები



სოციალური ფსიქოლოგია

სტუდენტი: მარიამ ქავთარაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი- ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქავთარაძე

2022

აბსტრაქტი

აღზრდა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამ მიზეზით, აღზრდის მახასიათებლები უკვე დიდი ხანია ფსიქოლოგებისთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს და მუდმივად კვლევის საგანია. აღსანიშნავია, რომ აღზრდა ზემოქმედებს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს კავშირი ნარცისიზმსა და აღზრდის მახასიათებლებს შორის. კვლევაში მონაწილეობდა 109 ადამიანი, ხოლო ინსტრუმენტებად შერჩეული იყო ნარცისიზმის, ზემზრუნველი აღზრდის (OPS) და აღზრდის სტილის განზომილებების კითხვარები (PDI). შედეგის მიხედვით, ნარცისიზმი დადებით კავშირშია ფსიქოლოგიურ კონტროლთან და ზემზრუნველ სტილთან, მაგრამ ის არ არის კავშირში ქცევის კონტროლთან და მშობლის სითბოსთან (მხარდაჭერასთან).

საკვანძო სიტყვები: ნარცისიზმი, ფსიქოლოგიური კონტროლი, სითბო, მონიტორინგი, ზემზრუნველი აღზრდა

Abstract

Parenting has a significant impact on a person throughout life. For this reason, the characteristics of upbringing have long been an area of interest for psychologists and are constantly the subject of research. Parenting also affects psychological well-being and mental health.

The aim of the presented master thesis is to study the connection between narcissism and the characteristics of Parenting. A total of 109 people participated in the study, and the Narcissism, Caregiving Upbringing (OPS) and parenting style dimension questionnaires (PDI) were selected as instruments. According to the results, narcissism is positively related to psychological control and overprotective parenting, but it is not related to behavior control and parental warmth (support).

Keywords: narcissism, psychological control, warmth, monitoring, overprotective parenting

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მხარდაჭერისთვის და გაწეული პროფესიული დახმარებისთვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნინო სხირტლაძეს.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს და კოლეგას, ნინო გილაშვილს, რომელიც ძალიან დამეხმარა სტატისტიკის საკითხებთან მუშაობისას.